სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

ქალ-ვაჟთა სკოლა
## ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა
დ. ხონში

პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ზ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან

## საქალებო პროგიმნაზიად

მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე.

სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—12)

## წიგნის მაღაზია
### მიხეილ გაჩეჩილაძისა
(იგივე „გლეხის“ ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით დ. ყვირილაში, ჩუბინიძის სახლში

წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს წიგნების საკაზმავი სახელოსნო, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლიანხ მთვმართოს შემდეგის ადრესით:
Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—3)



## „ბავშვების მოკეთის“
შესახებ.





აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. — ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე“ მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.
(50—30) პატივისცემით ალ. ნათაძე.

## მაქსის ცირკი
მიხეილის ქუჩაზე, მადერის მამული

ხუთშაბათს, 3 სექტემბერს

პირველი სადღესასწაულო წარმოდგენა სამს განყოფილებაში.

მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი გიმნასტი ლვოვი და მოჯირითე პიერი.

გაწვრთნილ ცხენებს გამოიყვანს ცირკის დირექტორის ცოლი მაქსისა კომიკური და სამასხარო გამოსვლა გამოჩენილის კლოუნის მაქსისა.

დასასრულ გაიმართება ბალეტი

დასაწყისი 8 საათზე

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა

ფასები 30 კაპ. მოყოლებული 4 მანათამდე.

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ

ახლად გამართული რესტორანი
## „იუჟნი ნომერა“
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე

ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული სადილ-ვახშამი და საუზმე

ხორაგი უოველთვის ახალი და სუფთაა

რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით

ფასი ყველაფრისა იაფია

(30—21) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ, дешевизна

## კბილის ექიმი
ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—7)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
## ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

## ექიმი
### კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს

შლისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—41)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **ქართული თეატრის საქმე ტფილისში.** როგორც გავიგეთ, ქართული წარმოდგენების მართვაზე დრამ. საზოგადოების ახალ გამგეობას უარი განუცხადებია, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობამ შემწეობა აღუთქვა გამგეობას.

ჩვენს თეატრს თითქოს ებედებოდეს ყოველთვის ისეთი გამგეობა, რომელიც ან არას აკეთებს, ან არა და რასაც აკეთებს, ყოველთვის უხეიროდ და უნაყოფოდ.

*** **საზოგადო კრება დრამატიული საზოგადოებისა.** ახალს გამგეობას ძლივს ერთი საქმე გადაუწყვეტია. დაუნიშნავს საზოგადო კრება, რომელიც მოხდება 10 სექტემბერს სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კიდევ კარგი, რომ ათ სექტემბერს დანიშნეს კრება, რადგან თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ მაინც შეიძლება ქართულ თეატრს რამე ეშველოს წელს, თუ კი ნამდვილი მზრუნველი და ქირისუფლები გამოუჩნდნენ და არა ამ დროინდელი ძიძები.

*** **ოლქის სასამართლოს განყოფილება გორში.** ამ თვის ხუთიდან გორში სისხლის სამართლის განყოფილება იქნება. თავმჯდომარედ სასამართლოსი იქნება ბატონი ჩემეხოვი, წევრად ჩერნიკოვი, პროკურორი ჯალალოვი და სეკრეტარი ლ. შატბეროვი.

*** **საჯარო ვაჭრობა პრიკაზში დაგირავებულ მამულებზე.** გუშინწინ პრიკაზში დაგირავებულ მამულების საჯარო ვაჭრობა იყო და 9 მამულიდან გაიყიდა 2, მათ შორის ერთი მამული მუხრან-ბატონისა ოქრომჭედლების ქუჩაზე, ხელმეორე ვაჭრობა დანიშნულია ამ თვის ხუთში.

*** **გორის მაზრის მემამულეთა კრება.** 11 ღვინობისთვეს ქ. გორში დანიშნულია არჩევნები გამგე დირექტორისა გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობისა სამაგიეროდ დაკარგულ დირექტორის თ. ივანე გიორგის ძის მაჩაბლისა. ჯამაგირი ექნება დირექტორს ორასი თუმანი.

*** **ბაღოსნების კრების თავმჯდომარე.** ბაღოსნების პირველ კრების თავმჯდომარედ, რომელიც მოხდება კავკასიაში 6—20 ოქტომბერს, დანიშნულია მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელის მიერ ნიკიტის სასწავლებლის დირექტორი დ. ს. ს. ტარხოვი.

*** **ხელოსნობა სამრევლო სკოლებში.** ზოგიერთი ეპარქიის მეორე-კლასიან სამრევლო სკოლებში, როგორც ისმის, შემოღებულ იქნება მომავალ სამოსწავლო წელს ხელოსნობის სწავლება. იმედი აქვთ, რომ მომავალში სკოლის სახელოსნოები, მათ მიერ მომზადებულ ნაწარმოებთა გაყიდვით, თვითონ დაჰფარავენ მათ შესანახ ხარჯს.

*** **ერობისა და სასამართლოების საქმე კავკასიაში.** „ნოვ. ობ.“ დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდან, რომ გმნზრახვა აქვთ შეადგინონ კომისია, რომელმაც ყოველ სხრივ უნდა განიხილოს ერობისა და სასამართლოების საქმე კავკასიაში.

*** **ახალი გაზეთი.** იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდაე, რომ აღძრულია შუამდგომლობა ახალი გაზეთის გამოცემის შესახებ, რომელიც უნდა ემსახურებოდეს კავკასიის ინტერესებს. განზრახვა აქვთ გაზეთი ბეჭდონ სამ ენაზე: ქართულსა, რუსულსა და სომხურზე.

*** **შემწეობა სამღვდელოებისათვის.** გაზ. „მწყემსის“ სიტყვით, საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოებას დაენიშნა უწმ. სინოდისაგან 60 ათასი მან., რომელსაც დაურიგებს ადგილობრივი სინოდალური კანტორა ყველაზე უფრო ღარიბი ეკკლესიების კრებულთ.

*** **ვაზის წამლობა.** კახეთში ამ ჟამად უკვე დაუმთავრებიათ ბლეკროტისა, ვაიტროტისა და სხვა ავადმყოფობისაგან ვაზის წამლობის ცდა. როგორც ცდამ აღმოაჩინა, საუკეთესო წამალი ბლეკროტის წინააღმდეგ არის ბორდოს სითხე.

*** **აგურის ქარხნების გახსნა ნება დაურთველად.** ბ. გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის პოლიცმეისტერს პასუხის გებაში მიეცი აგურის ქარხნების პატრონები პეტრე მარკარიანი, აივაზ ოსიპოვი და არტემ გასპაროვი და კრამიტის საწვავ ქარხნის პატრონი სულხანიშვილი, რომელთაც სათანადო ნება-რთვის აუღებლად გახსნეს თავიანთი ქარხნები ავლაბარში, თოფის წამლის სარდაფებთანაო. ქარხნები დაიკეტება.

*** **პოლიციის მოხელეთა სიცოცხლის დაზღვევა.** ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიას ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს დამზღვევ საზოგადოებებთან ქალაქის პოლიციის მოხელეთა, უმთავრესად ქუჩის დარაჯთა, სიცოცხლის დაზღვევის შესახებ.

*** **ყალბი ფულის საქმე.** მილიციის პრაპორშჩიკის ასკარ კასუმოღლის ზეინვლოვის და რვა სხვა ბრალდებულის საქმე, რომელთაც ბრალდებათ ყალბი თუმნიანისა, ხუთ-მანეთიანისა და მანეთიანის გაკეთება და გასაღება, დანიშნულია განსახილველად ტფილისის საოლქო სასამართლოში 26 ოქტომბერს. ამ საქმის თაობაზე მოწვეულია 159 მოწმე.

*** **ფოთის პორტის აუზის ჩასაღრმავებლად,** როგორც ფოთში ამბავი მოვიდა, უკვე გამოუგზავნიათ ოდესიდან საჭირო მიწის სათხრელი მანქანები.

*** **ახალი გამოკვლევა.** როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“-ს გაუგონია, ბ. ა. დ. ერიცოვს დაუმზადებია ახალი ვრცელი გამოკვლევა სახელწოდებით: „სომხები საქართველოსა და ტფილისში“. წიგნი დაწერილია რუსულად და სომხურად და შეიცავს მრავალ სურათს. წიგნში ჩართული იქმნება ცალკე დამატება, რომელშიაც მოყვანილი იქნება ისეთი ადგილები სომეხთა, ქართველთა, ბიზანტიისა და არაბთა ისტორიკოსების თხზულებებიდან, რომლებიც არკვევენ სომეხ-ქართველთა ურთიერთობას ამ ორივე ხალხის ისტორიულ ცხოვრების დასაბამიდან.

*** **ხე-ტყის წარმოების საქმე კავკასიაში.** „სინ. ოტ.“ სწერს, რომ კავკასიის ხე-ტყის წარმოების ასაღორძინებლად ამ ჟამად აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ მიეცეთ მწარმოებელთ ზოგიერთი რამ შეღავათი საზღვარ-გარეთ ხე-ტყის გაზიდვაში.

*** **მუშების საჩივარი პატრონზე.** 1-ლ სექტემბერს ქალაქის განათების კონტრაგენტის ბ. ვართანიანცის მუშებმა 30-ოდე კაცმა ტფილისის პოლიცმეისტერთან საჩივარი შეიტანეს თავიანთ პატრონზე, რომელსაც აბრალებენ, არ გვაძლევს ჩვენს ხვედრს სამი თვის ჯამაგირსაო, რის დასამტკიცებლად წარუდგინეს თავიანთი საანგარიშო წიგნები, რომლებშიაც თვითონ ბ. ვართანიანცი ყოველთვის მუყაითად ნიშნავდა ხოლმე მუშებზე გაცემულ ჯამაგირს. პასუხის-საგებად მოწვეულმა ვართანოვმა თავის-მიერ მუშებისათვის ჯამაგირის მიუცემლობა იმით ახსნა, რომ ვითომ მომჩივანებს არა სურდათ დაებრუნებინათ მისთვის მისი კიბეები და სხვა იარაღები.

*** **საქონლის ჭირი.** ლამის-ყანაში (გორის მაზრაში) გაჩნდა საქონლის ჭირი.

სოფ. დოესში (გორის მაზრაში) გაძლიერდა და ეს ერთი თვეა აღარ თავდება ცხენების ჭირი „საპი“, რომელიც მაშინვე ხოცავს. ეს ჭირი შემოტანილია ტფილისიდგან.

*** **ქუთაისი.** ახალი წიგნი. ბ. ივ. კილაძის და ი. ხელაძის სტამბაში იბეჭდება ახალი წიგნი ბ-ნის პოლ. კვიცარიძისა „წალკოტი“, ანუ კრებული საღმრთო-საეკკლესიო წიგნებითგან ამორჩეულთა ადგილთა. წიგნის ბოლოში მოქცეულია ლექსიკონი. წიგნი დანიშნულია სამრევლო სკოლებში სახმარებლად.

*** **ჭიათურა.** მვირფასი ნაშთი. ამას წინად აქ, ბ. გედევან ჩუბინიძის შავი ქვის გვირაბში, როცა მუშები ქვას იღებდნენ, იმ დროს, ბ. კ. მ—ძემ, იპოვა ერთი დიდი თეთრი და ზოგან შავადაც არეული ქვად გადაქცეული ძვალი, ძვალს სიგრძე ორი ალაბი ექნება და განიც ერთი; სიმძიმით ოცდაათ ფუთს აღემატება. ქვის ზედა ნაპირზე, კარგად სჩანს მსხვილი გვერდები, კისერი, და სხვა ნატეხი ძვლებიც. ყველა მნახველი ამბობს, რომ თევზის ძვალი უნდა იყოსო, და მართალია თუ არა ეს არ ვიცი.

ამ დღეებში ეს ქვად ქცეული ძვალი, ფოტოგრაფის აპპარატით გადაიღო აქ მოსულმა ფოტოგრაფმა ბ. ი. ჟ—ძემ და კ. ხ—მა და როგორც თვითონ ამბობენ, მრავალენიმე ას ცალს დაამზადებენ და ყველგან გასაყიდად დაარიგებენ.

ხსენებულ ქვას, თითონ მ. ჩუბინიძეც კარგა ბლომად სდებს ფასს და მართლაც რომ ძვირფასია; მაგრამ რამდენიც უნდა ღირდეს ჩვენის ფიქრით, უფრო დიდ სახელს მოიხვეჭს რომ ეს ნაშთი „ქართ. შორ. წერ.-კით. გამავრ. საზ.“ მუზეუმს შესწიროს.

ა—რე ხაბულიანი

*** **სად. სუფსა** (გურია). **ბოროტ-განზრახვა.** 22 აგვისტოს საღამოს 6 საათზე, სუფსიდან სად. ჯუმათისაკენ ქვევითათ მიდიოდა სამოცდა ათი წლის მოხუცი აზნ. პ. ქყონია. როცა გაიარა ერთი ვერსის მანძილი მან შეამჩნია სიმინდის ყანიდან გამომავალი ი. თ—ძე, რომელიც ამავე დღეს დამუქრებია ქყონიას სიკვდილს. თ—ძე გამოუდგა უკან ქყონიას თოფის მიზნებით და უძახოდა გაჩერებულიყო. უიარაღო ქყონია არ შეჩერდა და მხოლოდ პასუხად ამას ეუბნებოდა: „თუ ახალგაზდა ხარ უთოფოთ მოდიო და როცა თ—ძე მიუახლოვდა ქყონიამ შეამჩნია მეორე კაცი, რომელიც იყო ს. მ—ძე. ქყონია და თ—ძე შეიბნენ ხელდახელ, მოხუცმა დაძლია და წაართვა თოფი, რომლითაც იხსნა თავი ჩასაფრებულ ბოროტგამზრახველთაგან. ამასობაში სადგურთან ქყონიას მოეშველა ხალხი სუფსის ბოქაულით, ჟანდარმით და „სტრაჟნიკებით“. ქყონიამ ერთ „სტრაჟნიკთაგანს“ ჩააბარა თოფი და ბოქაულს სთხოვა ოქმის შეყენება, მაგრამ ამ დროს თ—ძემ დასჭრა „სტრაჟნიკი“ და წაართვა ქყონიას ჩაბარებული თოფი, ხოლო მ—ძემ კი ჯოხი შემოჰკრა ქყონიას და შემდეგ გაიქცნენ.

თურმე მიზეზი აი რა ყოფილა: პ. ქყონიას გაუკეთებია სად. ჯუმათში რამოდენიმე საჟენი შეშა გასასყიდათ. თ—ძეს რამოდენიმე ნაწილი ამ შეშისა ქყონიას გაუგებრათ წაეღო და მიეთვისა. როცა ქყონიამ ეს გაიგო თავისი შეშა და ისევ სადგურთან მოიტანა და ბოქაულსაც განუცხადა. გაბრაზებული თ—ძე, დაემუქრა ქყონიას და თავის ამხანაგით დახვდა ზემოხსენებულ ალაგას.

ი. ქყონია

*** **დ. ხობი** (სამეგრელო). **დაქვეითება და უკან ჩამორჩენა.** დ. ხობი მდებარეობს ზუგდიდის მაზრაში მდინარე ხობის ნაპირზედ. ადგილობრივი მკვიდრნი არიან მეგრელები, რომელთაც უმთავრესი დარგი ცხოვრებისა არის ხვნა-თესვა და საქონლის მოშენება. მიწა თუმცა ძლიერ ნაყოფიერია, მაგრამ ისეთი გლეხი იშვიათია, რომ მთელი წლის საყოფი მოსავალი მოიწიოს, ამიტომ რასაკვირველია, როდესაც არსაიდან არ აქვთ სახსარი დააღწიონ თავი ამ უკიდურესს მდგომარეობას და როდესაც სიმშილით კუჭი ეწვება ჩვენი „კოჩი“ იძულებული ხდება ან ღამის რაინდობას მიჰყოს ხელი და ვინმეს ქაცარი დასცინცლოს ხელიდან და მერე „პროსტო ატკაზი“ უთხრას და ან კარგი ცქვიტინია ცხენი მოიპაროს და სადმე მიაყიდოს. აილებს ჩვენი კოჩი ორიოდე გროშს და მით ან ერთს კარგად გამოიწკიპება ტანზე და ან სადმე იქეიფებს და მერე ხომ ისევე მაგას იმეორებს, სანამ ვირის აბანოში არ ამოყოფს თავს. ერთი სიტყვით ჩვენი კოჩები გამსჭვალულნი არიან აზრით, როგორმე თავის ქონებას ადრე მოუღონ ბოლო და მერე სხვისაზე ინადირონ. სწავლა-განათლებას ნუღარ იკითხავთ, მკითხველნო, რადგანაც იმისთვის ეს კოჩები დროსაც არ კარგვენ და ისე უყურებენ როგორც ურია ღორის ხორცს. თუ გაბედა და სადმე სწავლა-განათლებამ ფეხი შემოსდგა, მაშინვე ზოგიერთი რაინდები ქვით, კეტით, ჯოხით მიესევიან და გადაარბენიებენ. თუმცა თვით დაბა ხობში და ზოგიერთს სოფლებში არსებობს პირველში ორ კლასიანი ნორმალური და სხვებში თითო კლასიანი სამინისტრო სასწავლებლები, მაგრამ ვაი ამისთანა ყოფნას, როდესაც მოწაფეებმა არ იციან ქართულ ენაზე არც წერა-კითხვა და არც ლაპარაკი.

— **კეთილი წინამძღოლი.** ასეთს ყოველის მხრით დაქვეითებულს ხალხს, როგორც ხობელებს და მათ გარშეო მყოფ სოფლელებს რასაკვირველია ყოველთვის ეჭირვებათ კარგი წინამძღოლი, ასეთი წინამძღოლი უკვე არგუნა ბედმა მათ, ეს გახლავთ ახლად დანიშნული რედუტ-კალის ნაწილის ბოქაული ბ-ნი მ. ავალიანი.

სწავლა-განათლების გავრცელება და სხვა და სხვა მავნე ზნე-ჩვეულებების აღმოფხვრა, აი ეს გახლავთ ორი რმთავრესი აზრი, რომლითაც გამსჭვალულია ბ-ნი ავალიანი, შემოდგა თუ არა ფეხი ბ-ნმა ავალიანმა თავის საბოქაულოში, მაშინვე შეუდგა თავის აზრების განხორციელებას. თუმცა ზოგიერთს ქურდ-ბაცაცებს და ღამის რაინდებს არაფრათ ეჭაშნიკათ ასეთი ბოქაულის მოსვლა და ბღვერა დაუწყეს, მაგრამ ის მაინც არ შეუშინდა იმათ და მედგრათ მიჰყო ხელი თავის საქმეს.

იმედია ადგილობრივი მკვიდრნიც მოვლენ ბოლოს ჭკუაში და დააფასებენ ასეთ კეთილ-მოღვაწეს.

Alouette

*** **ს. ხეთა** (ზუგდიდის მაზ.). **საყურადღებო პასხი.** ეს სოფელი სწავლა-განათლებით უკან არ სდგას სხვა სოფლებზე ზუგდიდის მაზრაში. თუმცა საზოგადოებაც არ არის ცოტა, მაგრამ სკოლებიც მაგივრად მეტია სხვა სოფლებზედ. აქ არის ერთი ორ-კლასიანი და ორიც ერთი ორ და მეორე ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლები. ამ სკოლებში არ არის ტევა, იმდენია მოსწავლე ყმაწვილები. უმეტესად აქაური გლეხ-კაცობა საშინელი გულის სიმხურვალით მისდევს შვილების აღზრდას, სანამ შეიძლებს და არა მგონია ორი ყმაწვილი იყოს, ან ორ-კლასიანი სკოლა არ ჰქონდეს დამთავრებული და ანუ არ იყოს სკოლაში.

რაც შეეხება აზნაურობას ძრიელ ხშირია და მათ შორისაც ცოტაოდენი ნასწავლი და ზოგივრთი საშუალო სასწავლებლებიდგანაც არიან, მაგრამ უმეტესი ცხენ-უნაგირისა და დუ-შაშების მოყვარენია.

ძრიელ ძვირად იქნება აქაურ გლეხ-კაცობამ და უფრო აზნაურობამ არ იცოდეს, თუ გარეშე ენების არა, ქართულის მაინც წერა-კითხვა და ლაპარაკი, მხოლოდ ძვირია ისეთი პირი, რომ ეს ცოტაა თუ დიდი, სწავლა დამუშავებული ჰქონდეს. რაც უსწავლიათ რაც იციან, საუბედუროდ სადღაც კუთხეში აქვსთ მიგდებული და კარგი ცხენ-უნაგირსა და დუ-შაშების ბაასში არიან მუდამ დროს საკუთარ საქმეების გარდა. ან კი რაზედ ილაპარაკოს თავისუფალ დროს აქაურ ყმაწვილებმა ისეთ სოფელში, სადაც არავითარი გონებით გასართობი ადგილი არ მოიპოვება? რა კარგი იქნება, რომ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსდებოდეს ამ ჩვენს სოფელში; ეგ ოხერი ნარდისა და ბანქოს თამაში ეგებ მოისპოს, რომ ფულის წაგების გარდა უზომოდ ელალებათ ტვინი და მთელი სხეული. მართლაც-და დიდი საჭიროა ამ საზოგადოებისათვის ასეთი კეთილი საქმის დაარსება. რომ ვინმე ითავებდეს და მიიღებდეს პირველში შრომას ბიბლიოთეკის დაარსებისათვის, რომელსაც იმედია, მრავალი შემწე აღმოუჩნდება.

კოლონა

*** **ს. ალი** (ქართლი). **წამლით ბავშვის სიკვდილი.** ჩვენს კუთხეზე ძალიან ძნელი საშოვარია ექიმი, არის მხოლოდ სურამში და რომ მოიწვიოს ვინმემ, წამალს და მოცდენას გარდა, 12 მანეთი ჯდება. ამის გამო ყოველი გაჭირვებული გლეხი თავის ავადმყოფს მიარბენინებს ექიმბაშ სოფლის დედაკაცებთან. დედაკაცებიც, რა თქმა უნდა, დახელოვნებულნი არიან თავიანთს ცბიერობაში. ინახავენ წამლებს, სხვა-და-სხვა უვარგის საგნებისაგან შეზავებულს, ისე რომ თვითონაც არ იციან რა არის და ან რა ნაირს ავადმყოფს მოუხდება. მხოლოდ ხშირად გაიძახიან: „ჩემი წამალი ძლიერ მარგებელია, უებარიაო“. გლეხიც დაჯერებულია მათს კარგ წამლობაზე და იმას აღარც-კი კითხულობენ, რომ ექიმბაშების წამალი მოარჩენს თუ მოკლავს! მხოლოდ წამალი-კი დაალევინონ და რაც უნდა ის იყოს, ეს სულ ერთია მათთვის, აი ამ აზრით დაჭეშმარიტებულმა ალელმა გლეხმა ვანო მახარობლიძემ თავისი ავადმყოფი თერთმეტი წლის ვაჟიშვილი მიჰგვარა აქაურსავე მცხოვრების გრიგოლ ჯანოევიანცის მეუღლეს მაგდალინელას, რომელიც სოფლის ექიმბაშთაგანია. მახარობლიძეს ეგონა, რომ მივუყვან თუ არა ჩემს შვილს, მაშინათვე მომირჩენს და მეშველებაო, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, საცოდავს ბავშვს წამალი არც-კი ჰქონდა მუცელს ჩაცილებული, რომ ერთის თვალის დახამხამებაში სული გააყრევინა და მამა, გიჟსავით გარეტებული, დასცქეროდა გაციებულს გვამს თავის შვილისას.

ქვაც-კი ატირდებოდა საწყალი მახარობლიძის საცოდაობით. თავისი შვილი მხიარულად მოჰყავდა ექიმბაზთან, რომ მოვარჩენო, მწუხარებით და თმის გლეჯით მკვდარი მიჰყავს მშობელ დედასთან. ეს მოხდა აგვისტოს 28-ს. მამასახლისმა ოქმი შეადგინა, ბოქაულს გადასცა, ბავშვიც მიწა მიუყრელად საფლავშია ჩასვენებული, რადგან გამოძიებას ელიან და ვნახოთ რა იქნება, რით გათავდება საქმე.

ვინმე

## სხვა-და-სხვა ამბავი

სახალხო განათლება სხვა-და-სხვა ქვეყნებში. თუ რამდენათ გავრცელებულია სახალხო განათლება ამა თუ იმ ქვეყანაში, ამას აშკარად გვიჩვენებს ახლად მიღებულ ჯარის-კაცთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი. ამიტომ მეტად საინტერესოა შემდეგი ნამდვილი ციფრული ცნობები. ახლად მიღებულ ჯარის-კაცთა შორის წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილა: საქსონიასა, ბავარიასა და ბადენში—0% (ე. ი.—ასზე არც ერთი); ჰესენში—0,12%; შვეციაში—0.2%; გერმანიაში—0,6%; პრუსიასა და შვეიცარიაში — 0,8%; ჰოლანდიაში — 7,3%; საფრანგეთში—9,4%; ბელგიაში—16,2%; ავსტრიაში — 30,8%; უნგრეთში—36%; იტალიაში—42% და რუსეთში—68,9%!

როგორც ხედავთ, სახალხო განათლება ყველაზე უფრო ნაკლებად რუსეთში ყოფილა გავრცელებული.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 სექტემბერი

**პეკინი.** გამოცხადებულ იქმნა იმპერატორის ბრძანება შესახებ იმ-

სა, რომ იმპერატორს აღარ ესაჭიროება სამსახური ლი-ხუნგ-ჩანგისა, როგორც ცზუნგელი იამენის წევრისა. ჰფიქრობენ, რომ ლი-ხუნგ-ჩანგი ისევ დარჩება მთავარმდივნად.

**კოპენჰაგენი.** იმ ამბის წინააღმდეგ, ვითომ რუსეთმა სურვილი განაცხადა მშვიდობიანობის შესახებ კონფერენციის შეკრება კოპენჰაგენში, „რეიტერის სააგენტო“ აცხადებს, რომ დონიის მთავრობას ამაზე არავითარი ამბავი არ მოსვლია.

**პარიზი.** სასამართლომ უარი სთქვა პიკარის საპატიმროდგან დროებით განთავისუფლებაზე.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა—ავსტრიის იმპერატრიცის სიკვდილისა გამო სასახლეში თალხები იყვეს ოთხის კვირით.

რადგანაც ტომსკის უნივერსიტეტში არსდება საიურიდიო ფაკულტეტი, საერო განათლების მინისტრმა მისწერა დასავლეთ-ციმბირის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გამოაცხადეთ, რომ ამ ფაკულტეტზე შესვლის მსურველთაგან თხოვნები მიიღება, ამასთანავე ნება ეძლევათ ამ ფაკულტეტზედ სტუდენტებად შესვლისა სასულიერო სემინარიაში პირველ ხარისხით სწავლა-დამთავრებულთ, უეგზამენოდ. რადგანაც წელს გვიანლაა ეგზამენების დაჭერა. ლექციების დაწყებას ჰფიქრობენ 15 ოქტომბრიდან.

---

# განცხადებანი

## ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აუწყებს ამომრჩევლებს, რომ საარჩევანო კრება ქალაქ ფოთის საბჭოს ხმოსანთა ამოსარჩევად შემდეგი ოთხი წლის ვადაზე 1898—1902 წ. დანიშნულია 8 სექტემბერს 1898 წ. დილის 9 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამომრჩევლებისაგან აღნიშნულ იქმნა ხმოსნებად შემდეგი კანდიდატები, რომელთაც 193 ხმაში მოუვიდათ შემდეგი ხმა:

ნიკოლაძე, ნ. ი. (ქალაქის თავი)—193 ხმ.; ჰასან-ჯალალოვი, ი. გ. (გამგეობის წევრი)—190; ყრუაშვილი, ლ. მ. (გამგ. წევრი)—189; ტერ-ნიკოლოსოვი, ნ. ა. —182; გოგიბერიძე, ი. ლ.—173; რუხაძე, კ. ე.—172; ალხაზიშვილი, მ. გ.—168; მენდელი, მ. ბ. —167; დიდია, გ. ნ.—156; მიქაბერიძე, კ. ი.—155; ხუმარაძე, ხ. პ.—149; ანდღულაძე, მ. გ.—143; კაუხჩევი, კ. ი.—148; პილიდი, დ. გ.—147: კიღურაძე, ნ. ს.—141;ჭოჭუა, სოლომონ—134; ნამიჩეიშვილი, ნ. ს.—128; სტავრიდი, გ. ს.—124; ხოშტარია, ა. ი. —123; პრავედნიკოვი, ა. ა.—122; ქავთარაძე, ს. ბ.—122; საბახტარიშვილი, ა. რ.—116; პლოხოტნიკოვი, ვ. პ.—115; გროდსკი, მ. ია.—114; გოგინავა, ს. დ. —113; საბახტარიშვილი, ბ. რ.—107; ჟვანია, ა. პ.—103; შაფათავა, პ. ე.-103; თოფურიძე, ვ. ი.—99; გრიგოლია, დ. გ.—91; ეგორშევი, პ. ს.—91: მეიერი, ე. რ.—88; ჯაიანი, ვ. ი.—82; სიორიძე, ნ. გ.—82; გაბელია, ბეჩუტ.—80; ჭოჭუა, სამსონ—80; ალანია, ა. ა.—76; ფანცულაია, დ. ს.—76; კალანდაძე, ი. გ.—75, ტკაჩენკო, ნ. ფ.—75; ხუნჯუა, ი. ს.—75; ტერ-ოვაკიმოვი, გ. ო. —72; კაკუტია, ბახვა—72; ანცევი, ი. გ.—70; ლოლუა, ა. დ.—68; გუგუშვილი, ა. დ.—66; გუგუშვილი, ა. ნ.—63; გუგუშვილი, დ. ნ.—62; მამფორია, ი. ა. —62; არუთინოვი, მ. ხ.—59; გაბუნია, ე. მ.—59; გერძეევსკი, ი. ვ.—58; გაბუნია, გაიოზ—56; ესაკია, მ. ვ.—53; მაკალათია, დ. ნ. —52; გაბელია, ე. დ.—51; კაჩარავა, ა. ხ.—50; პერედევა, ვ. ნ. —48; ასათიანი, ი. ი.—47; კონოვალოვი, ლ. ვ.—45; ხოშტარია, ს. ფ.—43; თურქია, ი. ფ. —42: ტერეშჩენკო, ი. ი.—41; კაგაროვი, ბ. ი.—39; ბერეჟიანი, ს. ბ.—38; შაფირო, დ. გ.—38; მოისეენკო. ა. ა.—37; კიღურაძე, ამ. ტ.—31; ცალქალამანიძე, ი. ი.—31; მაღნარაძე, კ. ს.—30; ინასარიძე, კ. ე.—29; კიზირია, ი. ი.—29; შტეკცელი, ი. ო.—28; ხარაზიშვილი, ვ.—27; ბარკალაია, ა. ს.—26; კოჩერგინი, კ. დ,—26; ბახმეტევი, ა. პ.—15; მახარაძე, კ. ხ.—14; გაბელია, ბახვა—13; ურუშაძე, სტ. გ.—13; ბჟალავა, სამს.—12; კიზირია, კოხტა—12; ნეკრასოვი, ი.—12; გოგინავა, ბ. კ.—11; გრიგოლია, ა. დ.—11; ჯორბენაძე, ა.—10; ჩაჩავა, კ. ტ.—10; ჰყონია, ს. ფ. —10; გოგვაძე, დ.—9; ქართველიშვილი, ნ.—9; ხოფერია, ა. ნ. —9; ლუკაშევიჩი, ი. კ.-8; ბრელიძე, რ. ე.—7; ლეხნიცკი, ვ. მ.—7; ჩხარტიშვილი, ი.—7; ელიავა, დ. გ-—7; კონოვიჩი, დ. კ. —6; ნედოსვიატი, ა. ი.—6; ვარძელაშვილი, ს. ი.--5; გუგუშვილი, ტ. ხ.—5; ჯოჯუა, ტ. ო.--5; სარდაროვი, ს. ვ.—5; ტუღუში, დარისპ.—5.

ხმოსნად კენჭის ყრის სურვილი უნდა გამოუცხადონ გამგეობას სექტემბრის 5-მდე. (3—3)


## საქალებო პროფესიონალ სკოლაში ე. ალმაზოვისა

მიხეილის ქ. სახლი № 101.

მეცადინეობას დაიწყებენ სექტემბრის პირველიდან.

აგრეთვე ვღებულობ ქალების კაბის კერვას. თეთრეულის ამოქარგვას და ყოველგვარ ხელ-საქმეს.

მოწაფეებს ღებულობენ ყოველ-დღე დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე. (3—3)

---

## საზღვევი საზოგადოება „იაკორი“

**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო ღებულობს

**დაზღვევას ცეცხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ“**

**Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ**

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Цицiанова № 2. (50—43)

---

ახლად გახსნილი

## სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

**ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ**

## ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Пурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ.

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**


Дозволно цензурою. Тифлисъ, 2 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია**